თემთა ინიციატივა

ეყევი აქტიური!!! მიიღე მონაწილეობა მაერთვალი

№18 / 2009წ /

ყოველთვიური ჩანართი

პროექტის შედეგების პრეზენტაცია



20 ნოემბერს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ შედეგების პრეზენტაცია გამართა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების წარმომადგენლები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები, აგრეთვე არასამთავრობო და მედია სექტორის წარმომადგენლები.

პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ 2007 წლის ოქტომბრიდან აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში ხორციელდებოდა. პრეზენტაციაზე დეტალურად იყო წარმოდგენილი პროექტის მსვლელობის პერიოდში განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები. აგრეთვე წარმოდგენილი იყო თემების მოსახლეობის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიები, ამ მეთოდოლოგიების გამოყენების პრაქტიკული ასპექტები, სოციალურ-ეკონომიკური კვლევების შედეგები, პროექტის რეალიზაციის პერიოდში მომზადებული გამოცემები, მიზნობრივი პროგრამები, საგაზეთო ჩანართები და ნორმატიული აქტის პროექტები.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სტუმრები ხაზს უსვამდნენ პროექტის მნიშვნელობას და მისი განხორციელების დროს მიღწეული შედეგების აქტუალურობას:

ირაკლი ბარამიძე, ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელი: „ზემოთხსენებული პროექტი რამოდენიმე წელია ხორციელდება, ნელს დასკვნითი ეტაპი მიმდინარეობდა. ჩვენ მაქსიმალურად ჩართულები ვიყავით და ამ ჩართულობამ გამოინვია ის, რომ გაზაფხულიდან ქედის მუნიციპალიტეტში, რამდენიმე პროექტის განხორციელება დაიწყება. ვფიქრობ, რომ პროექტი და მეთოდოლოგია, რომლითაც ხდებოდა პრობლემების კვლევა, სასარგებლოა ყველა მუნიციპალიტეტისათვის იმ თვალსაზრისით, რომ სწორად დაიწყება იმ პრობლემების დაგეგმვა, რომელიც ჩვენს თემებში არსებობს. ეს ორგანიზაცია გვეხმარება იმაში, რომ უმთავრესი პრობლემა დეტალურად იქნას შესწავლილი. აუცილებელია მოსახლეობის აზრის გათვალისწინებული ყველა იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებობს. თუ ადგილობრივი თვითმმართველობა ცალკე დაიწყებს ყოველივე ზემოთხსენებულის გაკეთებას, მაშინ მოსახლეობის ჩართულობა აღარ იქნება და შედეგიც ნაკლები იქნება. მოსახლეობის აზრის გათვალისწინება აქამდეც ხდებოდა, მაგრამ დღეისათვის მოსახლეობის ჩართულობის ფორმები უფრო დაიხვეწა და განვითარდა. ადრე მოსახლეობას ხელი ქონდა ჩაქნეული და ფიქრობდა, რომ მათ ჩართულობას აზრი არ ქონდა, მაგრამ დღეისათვის შეიცვალა დროც და სიტუაციაც, ამაში კი დიდი ნვლილი მოუძღვის „ინტელექტის“, რომელმაც მოსახლეობას ასწავლა ურთიერთობა და კონტაქტი ადგილობრივ ხელისუფლებასთან საკუთარი პრობლემატიკის დასაცავად.

აიდა აბუსერიძე, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე: „კმაყოფილი ვარ რომ გავეცანი პროექტის შედეგებს. თავად პროექტი ძალიან დახვეწილი, მოტივირებული და არგუმენტირებულია, რომელიც უშუალოდ მოსახლეობაზეა იყო გათვლილი, პროექტი მოსახლეობას ასწავლდა თუ როგორ დაეხარისხებინათ პრობლემები, როგორ გაეკეთებინათ არჩევანი და თავად მიეღოთ გადაწყვეტილება.

როგორც პრეზენტაციაზე გაირკვა, სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებში შესულია ის პრობლემებიც, რომელთა მოგვარებაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამატიკაში შედის. გამომდინარე აქედან, თუ ჩვენი თანამშრომლობა იქნება საჭირო, სამინისტრო მზად არის ამისთვის. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი რაც მინდა ავღნიშნო, ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის „ინტელექტის“ მიერ განეული საქმიანობები „ლანგარზე მირთმეული“ მზა შედეგებია, რომლებიც საჭიროებენ მხოლოდ შესრულებას.“

ოთარ ზაქარაძე, დანდალოს თემის მკვიდრი: „ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის მიერ ქედის მუნიციპალიტეტის 9 თემში ჩატარდა კრებები მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების გამოკვლევისათვის. კვლევები ადრეც ხდებოდა, მაგრამ ასეთი ფართო მასშტაბით არა. მოსახლეობამ უკეთ იცის რა ჭირდება სოფელს და მათი მონაცემებით პრიორიტეტების შერჩევა უფრო სამართლიანი იქნებოდა. ვფიქრობ, რომ ასეთი მიმართულების კვლევები მოსახლეობას სასიკეთოდ წაადგება. აღნიშნულ პრეზენტაციაზეც სწორედ ამ კვლევების შედეგები იყო წარმოდგენილი, რომელთა მოგვარებაც ადგილობრივ თვითმმართველობაზე და მოსახლეობის აქტიურობაზეა დამოკიდებული.“

როინ მალაყმაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: „ისე როგორც ნებისმიერი მიმართულება და წამოწყება ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირისგან მისასალმებელი და საკეთილდღეოა. ასევე ყველა მიმართულებით და ყველა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია დღევანდელი პრეზენტაციაც, აქ იყო წარმოდგენილი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში რაც გაკეთდა. ხშირად ჩვენ გასაკეთებელ საქმესაც „ინტელექტი“ აკეთებს, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.“

ლევან გობაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე: „მართალია პროექტი დასრულდა, მაგრამ მიზნობრივი პროგრამების შესრულებაზე მონიტორინგი ჩვენს მხრიდან სამომავლოდაც გაგრძელდება. ასევე აუცილებელია მონიტორინგის პროცესებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავად მოსახლეობამ. ერთი ორგანიზაცია, ან ორგანიზაციათა ჯგუფი ვერრავითარ შედეგს ვერ მიაღწევს თუ მთლიანად მოსახლეობის აქტიურობა არ იქნება. თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრება შეუძლებელია მხოლოდ „ზემოდან“ განხორციელებული რეფორმებით. თვითმმართველობა, უპირველეს ყოვლისა, ადგილებზე მართვის პროცესებში ყველა ჩვენგანის მონაწილეობას ნიშნავს.“

ლამარა ნაგერავაძე, მაჭახელას თემის მკვიდრი: „ჩვენი ურთიერთობა ჯერ კიდევ 2004 წელში დაიწყო. ამ პროექტის ფარგლებში კი დავდიოდით თემებში, ვატარებდით მოსახლეობის საერთო კრებებს, ვიკვლევდით სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და გამოკვეთილ პრიორიტეტულ პრობლემაზე „ინტელექტი“ შეიმუშავებდა მიზნობრივ პროგრამებს. პრეზენტაცია ძალიან კარგი იყო, გასაგები იყო ის საკითხები, რომლებზეც აქ იყო საუბარი, რადგან ყველაფერი ერთად გავიარეთ და კმაყოფილი ვარ რომ შედეგებიც მეტ-ნაკლებად მიღწეული იქნა. პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვიყავი ჩართული, ყოველთვის მაინტერესებს და მივაქცევ ყურადღებას აუცილებლად გავყვები ბოლომდე რა ბედი ეწევა მაჭახელას თემისათვის შემუშავებულ მიზნობრივ პროგრამებს“.

ძვირფასო მკითხველო!

გურანდა შინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში გამოდიოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთხსენებული პროექტი დასრულდა, საგაზეთო ჩანართიც აღარ გამოვა.

2007 წლის დეკემბრიდან დღემდე გამოვიდა 18 საგაზეთო ჩანართი. მთელი ამ პერიოდის მანზილზე თქვენ ეცნობოდით არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ საქმიანობას და ღებულობდით დეტალურ ინფორმაციას პროექტის „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ განხორციელების შესახებ. ჩვენი ჩანართის საშუალებით არაერთხელ გამოუთქვამთ საკუთარი აზრი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ექსპერტებს, მოსახლეობას... გვქვს იმედი, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში „თემთა ინიციატივა“-ს რედაქციამ შევძელით ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია მიგვეწოდებინა მკითხველისათვის.

მართალია საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“ აღარ გამოვა, მაგრამ ამით ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ არ წყვეტს თავის საქმიანობას. დინტერესებულ ადამიანებს ორგანიზაციის სიახლეების ხილვა ვებ-გვერდის www. intellect.org.ge საშუალებით შეეძლებათ. 2009 წლის იანვრიდან კი კავშირი „ინტელექტი“ კვლავ გეგმავს ორი სახის საგაზეთო ჩანართის გამოშვებას, მაგრამ სხვა სახელწოდებით.

ასე რომ ძვირფასო მკითხველო! ახალი წლიდან ახალი მიზნებით და იდეებით დაგიბრუნდებით

პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ დასრულდა

პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ დასრულდა. აღნიშნულ პროექტს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ 2007 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის სექტემბრამდე აჭარის რეგიონის ხუთ (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) მუნიციპალიტეტში ახორციელებდა.

პროექტის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთი მუნიციპალიტეტის - ქედა, ქობულეთი, ხელვაჩაური, ხულო, შუახევი შემადგენლობაში შემავალი 63 თემის მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება თვითმმართველობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში; თვითმმართველობის ორგანოებსა და თემების მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირის და პრაქტიკული თანამშრომლობის ფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრებსა და მოსახლეობას შორის დიალოგის გაღრმავება და ურთიერთობის კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ანგარიშვალდებულების დონის ამაღლება, ქვევიდან (მოსახლეობიდან) ზევით ინიცირებული საკითხების მხარდაჭერის და ლობირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა. პროექტი აგრეთვე მიმართული იყო აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო პროცესების სრულყოფის, მუნიციპალური ბიუჯეტების გამჭვირვალობისა და ეფექტურობის, აგრთვე მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა ზემოთხსენებული მიზნების მისაღწევად სამიზნე მუნიციპალიტეტებში შემდეგი საქმიანობები განახორციელა:

63 თემში ჩაატარა მოსახლეობის საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, თემების რწმუნებულები, საინიციატივო ჯგუფები და დაინტერესებული მოსახლეობა. კრებების მთავარი მიზანი იყო თემების მოსახლეობის წინაშე მდგარი სოციალურ—ეკონომიკური პრობლემების კვლევა, მათი პრიორიტეტიზაცია და მოსახლების მიერ არჩეულ პრიორიტეტულ პრობლემაზე მიზნობრივი პროგრამების შემუშავება.

პროექტის რეალიზაციის პერიოდში სულ მოსახლეობის 126 საერთო კრება ჩატარდა (თითოეულ თემში 2 – ჯერ). კრებებზე შერჩეული იქნა მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ჩაუტარდათ ტრენინგები მიზნობრივი პროგრამების შემუშავების, ასევე თემებში არსებული პრობლემების გამოკვეთისა და პრიორიტეტიზაციის მეთოდოლოგიის შესახებ, აღნიშნული ტრენინგ-კურსი გაიარეს აგრეთვე ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში შემავალი თემების რწმუნებულებმაც.

ყველა თემისათვის მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტულ პრობლემაზე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ექსპერტებმა თემების რწმუნებულებთან, საინიციატივო ჯგუფის წევრებთან და გამგეობის ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად მიზნობრივი პროგრამები შეიმუშავეს. (ყველა თემისათვის შემუშავდა ორი მიზნობრივი პროგრამა (სულ 126), რომელთა ლობირებაც „ინტელექტმა“ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებაში განახორციელა.

აჭარის რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტში 2008 და 2009 წელს „ინტელექტის“ ორგანიზებით მოეწყო მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვები. 2008 წელს ზემოთაღნიშნული მიზნობრივი პროგრამები ადგილობრივ თვითმმართველობებს თემებში არჩეული საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებმა წარუდგინეს, ხოლო 2009 წელს მუნიციპალიტეტებში შემავალი თემების რწმუნებულებმა.

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველივე ზემოთხსენებულს მიეღო სისტემატიური სახე, სოციალურ—ეკონომიკური პრობლემების კვლევა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება საჯაღდებულო ყოფილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ შემუშავებული იქნა ნორმატიული აქტის პროექტი „მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო კვლევის ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების ინსტრუქცია“, რომელიც სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაეგზავნათ განსახილველად. დღეისათვის აღნიშნული ნორმატიული აქტი ხუთივე მინიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა.

პროექტის განხორციელებისას მიღწეულ შედეგებზე ვესაუბრეთ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარეს ლევან გოგბაძეს:

ბატონო ლევან, დასრულდა პროექტი „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“. თქვენი, როგორც პროექტის ავტორის აზრით, რამდენად იქნა მიღწეული ის შედეგები, რომლებიც პროექტის დაგეგმარებისას იყო ნავარაუდევი?

– უპირველეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ შედეგების მიღებისათვის, პროექტის რეალიზაციის პერიოდში, უზარმაზარი სამუშაო შესრულდა. ჩატარდა მოსახლეობის საერთო კრებები რეგიონის 5 მუნეციპალიტეტის ყველა თემში, აქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის მიზნით. კრებები ჩატარდა ორჯერ, 2008 წელს – 63 თემში და 2009 წელს იგივე 63 თემში. შემუშავებულ იქნა 126 მიზნობრივი პროგრამა თემებში კვლევების შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტულ პრობლემებთნ დაკავშირებით, მუნიციპალიტეტების თემების რწმუნებულებისათვის ჩატარდა ტრენინგები საბიუჯეტო კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიურ საკითხებზე, მომზადებულ იქნა ნორმატიული აქტის პროექტი ,,მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო კვლევების ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მუნიციპალური პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, გამოიცა საგაზეთო ჩანართის 18 ნომერი, მომზადებულ იქნა ბუკლეტები მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის შედეგების შესახებ (2008 და 2009 წლებისათვის), მომზადებულ იქნა ასევე პრიორიტეტულ პრობლემებთან დაკავშირებით შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების კრებული ყველა მუნიციპალიტეტისათვის (2008 და 2009 წლებისათვის).

რაც შეეხება შედეგებს, შემიძლია პასუხი ორი ფორმით ჩამოვაყალიბო. მე ძალიან მომეწონა შუახევის მუნიციპალიტეტში, პროექტის ფარგლებში შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების საჯარო განხილვის დროს, ერთ-ერთი თემის რწმუნებულის მიერ ჩამოყალიბებული ლაკონური და ამავე დროს ზუსტი შეფასება პროექტის შედეგებისა – ,,მიუხედავად იმისა, გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტა დაფინანსდება თუ არა, უმთავრესი მიღწევა არის ის, რომ მოსახლეობამ ისწავლა თუ როგორ გამოკვეთოს პრობლემები, განსაზღვროს პრიორიტეტები და როგორი ფორმით უნდა მოხდეს გამგეობებზე ინფორმაციის მიწოდება“. ეს შეფასება ნათლად გვიჩვენებს მივაღწიეთ თუ არა მიზნს. პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ თვითმმართველობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის მიღწევა გახლდათ.

სამუშაო შეხვედრები გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში

მართალია, თვითმმართველობის პროცესები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი - საბიუჯეტო პროცესი, მაგრამ პროექტის რეალიზაციის საშუალებით შეიქმნა პრეცედენტი ასეთი მონაწილეობისა.

თუ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ შედეგებზე, შემიძლია ვთქვა, რომ პროექტი თავისი შინაარსით იყო ინოვაციური რეგიონისთვის. საბიუჯეტო კვლევები უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ მეთოდოლოგიებს, რომლებიც შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მიერ არის შემუშავებული და აღიარებული. სწორედ ასეთი მიდგომები დაინერგა პროექტის რეალიზაციის შედეგად და ეს პროექტის უმთავრესი მიღწევა იყო.

მეორე მთავარი მიღწევა პროექტისა გახლდათ ის, რომ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის შემუშავებულ იქნა ნორმატიული აქტის პროექტი - ,,მუნიციპალიტეტებში საბიუჯეტო კვლევების ჩატარების, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მუნიციპალური პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს მუნიციპალური ბიუჯეტების დაგეგმარების პროცესი. ამ ნორმატიული აქტით ასევე განისაზღვრა მუნიციპალური პროგრამების შედგენისა და ანგარიშგების წესი.

ნორმატიული აქტის მოთხოვნების შესრულებით შესაძლებელი იქნება თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიყვანოთ ბიუჯეტების დაგეგმარებისა და შესრულების პროცესები რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში. ნორმატიული აქტის მოთხოვნების შესრულება ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის ბიუჯეტების მიზნობრიობას და ეფექტურობას, მისი გამჭვირვალობის ხარისხს.

– თქვენი მოსაზრება პროექტის რეალიზაციის პროცესებთან დაკავშირებით. რას იტყვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან თანამშრომლობაზე?

– კავშირი „ინტელექტი“ 2006 წლიდან აქტიურად მუშაობს ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში. ეს საქმიანობა, რა თქმა უნდა გულისხმობს თვითმმართველობის ორგანოებთან გარკვეულ საკითხებში თანამშრომლობასაც. რაც შეეხება პროექტის - „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ ფარგლებში თანამშრომლობას, საერთო შეფასების გაკეთება ყველა მუნიციპალიტეტისათვის რთულია. მუნიციპალიტეტები მნიშვნელოვნად განსხვადებოდნენ ერთმანეთისგან პროექტისადმი თავისი ინტერესისა და დამოკიდებულების ხარისხით.

მე უფრო გამოვყოფდი ეტაპებს, რომლებიც გვიჩვენებს ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხასიათის ცვლილებათა დინამიკას.

პირველი ეტაპას შეიძლება მივაკუთვნოთ 2007-2008 წლები, როდესაც თვითმმართველობის ორგანოების უმეტესი ნაწილის მხრიდან პროექტის მიზნებისა და ამოცანების მიმართ ინდეფერენტული დამოკიდებულება იგრძნობოდა.

მეორე ეტაპას შეიძლება მივაკუთვნოთ 2008 წლის ბოლო პერიოდი და 2009 წელი, როდესაც გამოიკვეთა რეალური ინტერესი მუნიციპალიტეტების უმეტესობის მხრიდან პროეტის მიმართ და შესაძლებელი გახდა მათი თანამონაწილეობა პროექტის საქმიანობებში.

ჩემი აზრით, ასეთი ცვლილება გამოწვეული იყო ორი ძირითადი მიზეზის გამო - პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესება და საკადრო ცვლილებები.

უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება რეალური თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრებისათვის და კადრები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ხედვები, კვალიფიკაცია და უნარი ადგილებზე ადგილებზე დემოკრატიული რეფორმების გატარებისათვის.

მთლიანობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმები თანდათანობით იხვეწება და ღრმავდება. ჩვენი სამომავლო პროექტებიც სწორედ თანამშრომლობაზეა დაფუძნებული.

საინიციატივო ჯგუფის წევრებს ტრენინგები ჩაუტარდათ

ჩატარდა მოსახლეობის საერთო კრებები

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, იმედაშვილის ქ.№8
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge